შპს „ბაჯო“

ს/კ 421267110; ქ.ქუთაისი, ლესელიძის ქუჩის მიმდებარე ნაკვეთი 1; მობ.: 5 58 00 05 11

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

შპს „ბაჯო“-ს ტყავის გადამამუშავებელი საწარმოს (ს/კ 421267110), მდებარე ქ.ქუთაისში, ლესელიძის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 1; საკადასტრო კოდი 03.02.24.522), აღდგენა-რეკონსტრუქციაზე და ექსპლოატაციაზე გაცემულია N79 (03.11.2017) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.
2020 წლის 02 სექტემბრის N2-783 ბრძანებით საწარმოს აღდგენა-რეკონსტრუქციაზე და ექსპლოატაციაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.
საწარმოს მოწყობა დასრულდა 2019 წელს, რის შესახებაც ეცნობა სამინისტროს.
ექსპლოატაციაში შესვლის პროცესმა აჩვენა, რომ სათადარიგო ჩარხდანადგარების გარეშე (გამლეში დაზგა, გამთლელი დაზგა, ნახევრად შრობის დაზგა, დამარბილებელი დაზგა) ტექნოლოგიური პროცესი შეფერხებებით მიმდინარეობს, რაც იწვევს ნედლეულის გაფუჭებას. შედეგად საწარმო ვერ უზრუნველყოფს ბიზნესგეგმით განსაზღვრული პარამეტრების მიღწევასა და ხარისხიანი პროდუქციის მიღებას. აღნიშნული მიზეზების გამო საწარმომ ვერ შეძლო ექსპლუატაციის გაგრძელება.
ტექნოლოგიური პროცესისა და მანქანადანადგარების საიმედეობის გაზრდის და გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით გათვალისწინებულია საწარმოს ექსპლოატაციის პირობების ცვლილება. ამის გათვალისწინებით საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მეხუთე მუხლის მე-12 პუნქტისა და მეშვიდე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება.

წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნულ განაცხადს. გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი: სკრინინგიის განაცხადი და განაცხადის ელ. ვერსია;

პატივისცემით
გოჩა გრძელიშვილი
დირექტორი

№ 2174
01 02 2021